ინფორმაცია სტუდენტებისათვის ორგანიზებული საინფორმაციო ხასითის აქციების შესახებ

1. პროექტი - “ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი”

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელდა ფართომასშტაბიანი პროექტი “ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი”. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში არჩევნების თემის პოპულარიზებას, მათი სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას არჩევნების მნიშვნელობისა და მათი როლის შესახებ, ინფორმირებას საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩევლების აქტიური ჩართულობის ზრდის ხელშეწყობას. სტუდენტებმა საკუთარი ხმის მნიშვნელობის გააზრების მიზნით, ღია ცის ქვეშ ააწყეს ”ფაზელი”, მონაწილეობა მიიღეს არჩევნების თემაზე სლოგანების მომზადების პროცესში და იმიტირებული კენჭისყრით გამოავლინეს სამი გამარჯვებული სლოგანი:

- ”არჩევნები ეს არის სამართალი მოქმედებაში”
- ”ჩემი ხმა გადამწყვეტია”
- ”დემოკრატიული ქვეყნის საწინდარი სამართლიანი არჩევნებია”

ხმის მიცემის პროცედურების უკეთ გაცნობის მიზნით, მოეწყო სასწავლო ფილმის ”კენჭისყრის დღის პროცედურები” ჩვენება. სტუდენტებს საჩუქრად გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო, დისკზე ჩაწერილი სასწავლო ფილმი და ”ამომრჩევლის სამახსოვრო”.



2. პროექტი - ”არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა”

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა პროექტის - ”არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა” მეორე ეტაპი. პროექტი განხორციელდა თბილისში მდებარე 3 უნივერსიტეტში და 5 რეგიონალურ უნივერსიტეტში.

პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტების საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობასა და მათ მოტივირებას საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. პროექტის ფარგლებში:

- უნივერსიტეტებში სტუდენტებთან ჩატარდა სემინარი/დისკუსია თემაზე “არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“;
- მოეწყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული კენჭისყრის დღის ამსახველი სასწავლო ფილმის ჩვენება;
- სტუდენტებს დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები (სადაც გაწერილია საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურა).